

ბატონო პრეზიდენტო,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2012 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე.

საქართველოს ეროვნულ არქივში ინფორმაციის მოთხოვნით 2012 წელს შემოსულია 47853 განცხადება, აქედან:

1. 47661 იყო სოციალურ უფლებრივი ხასიათის, მათ შორის 1760 შემთხვევაში მოთხოვნილი იქნა პერსონალური ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან; 2 განცხადებაში მოთხოვნილი იყო საქართველოს ეროვნული არქივის ბიუჯეტი; 190 წერილით გამოთხოვილი იყო ინფორმაცია სხვადასხვა თემაზე: საქართველო-ავსტრიის ურთიერთობების, ღვინის ქარხნები რუსეთის ტერიტორიაზე, დონეცკის ღვინის ქარხნის აშენების ხარჯები, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის, გენერალ მაიორ პავლე ვასილის ძე პოპოვის შესახებ და ა.შ.
2. საჯარო ინფორმაცია განმცხადებლების მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 34804 შემთხვევაში, 11097 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა უარყოფითი პასუხით, რაც ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:
  - ა) 2244 განცხადების შემთხვევაში მოთხოვნილი დოკუმენტები საქართველოს ეროვნულ არქივში არ ინახებოდა.
  - ბ) 8853 განცხადების შემთხვევაში მოქალაქე საქართველოს ეროვნულ არქივს აწვდიდა არაზუსტ მონაცემებს, რის გამოც შეუძლებელი იყო ეროვნულ არქივში ინფორმაციის მოძიება.
3. საქართველოს ეროვნული არქივი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა "ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ" საქართველოს კანონისა და "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-3 თავის მოთხოვნებს.
4. 2012 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ არქივში საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.
5. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არცერთხელ არ გასაჩივრებულა.

პატივისცემით,